



გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1124

უშიშროების საბჭო,

ეყრდნობა რა ყველა თავის შესაბამის რეზოლუციას, კერძოდ, ადასტურებს 1997 წლის 30 იანვრის 1096 (1997) რეზოლუციას და ეყრდნობა თავისი თავმჯდომარის 1997 წლის 8 მაისის განცხადებას, განიხილა რა გენერალური მდივნის 1997 წლის 18 ივლისის მოხსენება (S/1997/558/და add. 1), კვლავ ადასტურებს თავის სრულ მხარდაჭერას გაეროს როლის უფრო გააქტიურებისადმი რუსეთის ფედერაციის, როგორც ხელშემწყობი მხარის, დახმარებით კონფლიქტის ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევის მიზნით, ჯეროვან პატივს მიაგებს რუსეთის ფედერაციის, როგორც ხელშემწყობი მხარის, დახმარებით გაეროს გენერალური მდივნისა და მისი სპეციალური წარმომადგენლის, აგრეთვე მოხსენებაში აღნიშნული „საქართველოში გენერალური მდივნის მეგობართა“ ჯგუფისა და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მიერ გაწეულ ძალისხმევას სამშვიდობო პროცესის მხარდასაჭერად,

მიესალმება ამასთან დაკავშირებით მოხსენებაში გადმოცემულ ინფორმაციას სამშვიდობო პროცესის პერსპექტივის გაუმჯობესების შესახებ, ღრმა შეშფოთებით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ მხარეები ისევ ვერ ახერხებენ უთანხმოებათა დაძლევას და ხაზს უსვამს რა იმის აუცილებლობას, რომ მხარეებმა დაუყოვნებლივ გაააქტიურონ თავიანთი ძალისხმევა კონფლიქტის უსწრაფესი და ყოვლისმომცველი მოწესრიგებისათვის, აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის ჩათვლით, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის სრული პატივისცემის გათვალისწინებით,

კვლავ ადასტურებს აუცილებლობას, რომ მხარეებმა მკაცრად დაიცვან ადამიანის უფლებები და გამოხატავს რა მხარდაჭერას გენერალური მდივნის ძალისხმევისადმი მდგომარეობის გაუმჯობესების გზების მოსაძებნად მათი, როგორც ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგებისაკენ მიმართული საქმიანობის განუყოფელი ნაწილის დაცვით, და აღნიშნავს ახალ ელემენტებს აფხაზეთში, საქართველო, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილების მუშაობაში, მაღალ შეფასებას აძლევს საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის კოლექტიური სამშვიდობო ძალების მიერ კონფლიქტის ზონაში სტაბილიზაციის საქმეში შეტანილ წვლილს, აღნიშნავს რა, რომ საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიისა და დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალების თანამშრომლობა ეფექტიანია და ვითარდება, და ხაზს უსვამს მათ შორის მჭიდრო თანამშრომლობისა და კოორდინაციის დიდ მნიშვნელობას შესაბამისი მანდატების განხორციელების საქმეში,

ღრმად შემფოთებულია გალის რაიონში უსაფრთხოების საქმეში არასტაბილური და დამაბული სიტუაციის შენარჩუნებით, რომელიც ხასიათდება შეიარაღებული ჯგუფების მხრიდან ძალადობის აქტებით, შეიარაღებული ძარცვითა და სხვა დანაშაულობებით და რაც ყველაზე სერიოზულია, დანადმვით, ახალი სახეობის ნაღმების ჩათვლით, და ღრმად შემფოთებულია აქედან გამომდინარე უარყოფითი შედეგებით ადგილობრივი მოსახლეობის, ლტოლვილებისა და ადგილნაცვალი პირების, რომლებიც ამ რაიონში ბრუნდებიან, აგრეთვე საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიისა და დსთ-ის სამშვიდობო ძალების პერსონალის დაცვისა და უსაფრთხოებისათვის, შეახსენებს რა მხარეებს, რომ საერთაშორისო გაერთიანებას შეუძლია დახმარება გაუწიოს მათ მხოლოდ იმ პირობით, თუ ისინი გამოიჩინენ პოლიტიკურ ნებას დიალოგისა და ურთიერთდათმობების საფუძველზე კონფლიქტის მოწესრიგებისადმი, თუ ისინი ყოველმხრივ ითანამშრომლებენ საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეობის მისიასთან და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალებთან, მათ შორის, თუ შეასრულებენ მათ ვალდებულებებს, რომლებიც ეხება საერთაშორისო პერსონალის უსაფრთხო და თავისუფალ გადაადგილებას.

მხედველობაში იღებს რა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს 1997 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებას (6/1997/268, დანართი) აფხაზეთში (საქართველო) კონფლიქტის ზონაში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების მანდატის გაფართოებისა და 1997 წლის 31 ივლისამდე მისი მოქმედების ვადის განგრძობის შესახებ, მაგრამ ამავე დროს შემფოთებით აღნიშნავს რა, რომ გაურკვევლობაა ამ თარიღის შემდეგ მანდატის მოქმედების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით,

1. მიესალმება გენერალური მდივნის 1997 წლის 18 ივლისის მოხსენებას;
2. ადასტურებს თავის ღრმა შემფოთებას იმის გამო, რომ კვლავ ჩიხური სიტუაციაა აფხაზეთში (საქართველო) კონფლიქტის ყოვლისმომცველი მოწესრიგების მიღწევის საქმეში;
3. კვლავ ადასტურებს თავის ერთგულებას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი საყოველთაოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში და აღნიშნავს, რომ საჭიროა განისაზღვროს აფხაზეთის სტატუსი ამ პრინციპების ზუსტი შესაბამისობით, ხაზს უსვამს, რომ შეუწყნარებელია აფხაზეთის ხელმძღვანელობის ნებისმიერი მოქმედება დაარღვიოს ეს პრინციპები;
4. მიესალმება გენერალური მდივნისა და მისი სპეციალური წარმომადგენლის ძალისხმევას, რომლის მიზანია კონფლიქტის ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევა, მათ შორის საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხის გადაწყვეტა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის სრული პატივისცემის პირობებში,

აგრეთვე ღონისძიებებს, რომლებსაც რუსეთის ფედერაცია, როგორც ხელშემწყობი მხარე, ახორციელებს, კერძოდ, 1997 წლის ივნისში მოსკოვში გამართული მხარეთა შორის მოლაპარაკების ბოლო რაუნდის დროს იმ მიზნით, რომ კიდევ უფრო გააქტიურდეს კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების გზების ძიება;

5. კვლავ ადასტურებს, რომ მხარს უჭერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლის კიდევ უფრო გააქტიურებას სამშვიდობო პროცესში, მოუწოდებს გენერალურ მდივანს განაგრძოს ძალისხმევა ამ მიზნით რუსეთის ფედერაციის, როგორც ხელშემწყობი მხარის, დახმარებით და „საქართველოს საკითხებში გენერალური მდივნის მეგობრების“ ჯგუფის და ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის ორგანიზაციის მხარდაჭერით, აგრეთვე მიესალმება იმას, რომ ამასთან დაკავშირებით ქენევაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით მოეწყო ამ კონფლიქტისადმი მიძღვნილი უმაღლესი დონის შეხვედრა იმ სფეროების განსაზღვრის მიზნით, სადაც შეიძლება მიღწეული იყოს კონკრეტული პოლიტიკური პროგრესი;

6. მხედველობაში იღებს გენერალური მდივნის მოხსენების დამატებას, მხარს უჭერს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის განზრახვას განაგრძოს შეწყვეტილი შეხვედრა სექტემბერში და მოუწოდებს, კერძოდ, აფხაზთა მხარეს გამოიჩინოს კონსტრუქციულობა ამ განახლებულ შეხვედრაში;

7. ხაზს უსვამს, რომ სამშვიდობო პროცესის გააქტიურებისათვის ძირითადი პასუხისმგებლობა ეკისრებათ თავად მხარეებს და მოუწოდებს მათ მიაღწიონ საქმის გაუჭიანურებლად მნიშვნელოვან პროგრესს ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების გზაზე და მთლიანად დაუჭირონ მხარი ღონისძიებებს, რომლებსაც გენერალური მდივანი და მისი სპეციალური წარმომადგენელი ახორციელებენ რუსეთის ფედერაციის, როგორც ხელშემწყობი მხარის, დახმარებით;

8. მიესალმება მხარეთა შორის უშუალო დიალოგის განგრძობას და მოუწოდებს მათ გააქტიურონ მშვიდობიანი გადაწყვეტილების ძიება თავიანთი კონტაქტების შემდგომი გაფართოების გზით, სთხოვს გენერალურ მდივანს, უზრუნველყოს მხარდაჭერა, თუ მხარეები ამას მოითხოვენ, და შეახსენებს გენერალური მდივნის მოწოდებას ორივე მხარისადმი, რომ განაგრძონ საკითხის განხილვა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს მიერ 1997 წლის 28 მარტს მიღებული აღნიშნული გადაწყვეტილებების განხორციელების შესახებ;

9. შეახსენებს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ლისაბონის უმაღლესი დონის შეხვედრის დასკვნებს (6/1997/57, დანართი) აფხაზეთში (საქართველო) ვითარების შესახებ, და კვლავ აცხადებს, რომ დაუშვებელია დემოგრაფიული ცვლილებები კონფლიქტის შედეგად;

10. კვლავ აცხადებს, რომ გმობს მკვლელობებს, განსაკუთრებით ეთნიკური ხასიათის მკვლელობებსა და ძალადობის სხვა ეთნიკურად განპირობებულ აქტებს;

11. კვლავ ადასტურებს, რომ ყველა ლტოლვილსა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ადგილზე ადგილზე უფლება აქვთ დაუბრუნდნენ თავიანთ მშობლიურ ადგილებს უშიშროების პირობებში საერთაშორისო სამართლის და ლტოლვილთა და ადგილზე ადგილზე პირთა ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ 1994 წლის 4 აპრილის ოთხმხრივი ხელშეკრულების (6/1994/397, დანართი II), საფუძველზე, გმობს ასეთი დაბრუნებისადმი წინააღმდეგობას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მიუღებელია ლტოლვილთა და ადგილზე ადგილზე პირთა დაბრუნების საკითხის ნებისმიერი დაკავშირება აფხაზეთის (საქართველო) პოლიტიკური სტატუსის საკითხთან;

12. კვლავ ადასტურებს თავის მოთხოვნას, რომ აფხაზეთა მხარემ არსებითად დააჩქაროს ლტოლვილთა და ადგილზე ადგილზე პირთა ნებაყოფლობითი დაბრუნების პროცესი დაყოვნების ან წინასწარი პირობების გარეშე, კერძოდ, მიიღოს გრაფიკი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისრის სამმართველოს მიერ შეთავაზებული გრაფიკის საფუძველზე, და მოითხოვს შემდეგ, რათა მან უზრუნველყოს ამ რაიონში უკვე მყოფი არაორგანიზებული რეპატრიანტების უსაფრთხოება, და გადაწყვიტოს მათი სტატუსი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისრის სამმართველოსთან თანამშრომლობითა და ოთხმხრივი შეთანხმების შესაბამისად, კერძოდ, გალის რაიონში;

13. მოუწოდებს მხარეებს უზრუნველყონ 1994 წლის 14 მაისის ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დამორიშორების შესახებ მოსკოვის შეთანხმების (6/1994/583, დანართი I) სრული განხორციელება;

14. გმობს, რომ გრძელდება ნაღმების, მათ შორის ახალ სახეობათა ნაღმების ჩადება გალის რაიონში, რის შედეგადაც უკვე არის რამდენიმე დაღუპული და დაჭრილი სამოქალაქო მოსახლეობას, მშვიდობისმყოფლებსა და საერთაშორისო გაერთიანების მეთვალყურეთა შორის და მოუწოდებს მხარეებს ყოველი ღონე იხმარონ, რათა არ დაუშვან დანაღმვა და შეიარაღებული ჯგუფების საქმიანობის გააქტიურება, აგრეთვე ყოველნაირად ითანამშრომლონ საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეობის მისიასთან და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალებთან, იმ მიზნით, რომ დაიცვან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციების მთელი პერსონალის უსაფრთხო და თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფისათვის ნაკისრი ვალდებულებანი;

15. დაბეჯითებით მოუწოდებს გენერალურ მდივანს კვლავაც მიიღოს საჭირო ზომები იმ საფრთხის საპასუხოდ, რომელსაც ქმნის დანაღმვა, უსაფრთხოების პირობების გაუმჯობესებისათვის, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საფრთხე საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეობის მისიის პერსონალისათვის და შეიქმნას მისი მანდატის ეფექტიანი შესრულების პირობები;

16. ადგენს გაუგრძელდეს მანდატი საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეობის მისიას შემდგომი პერიოდით, რომლის ვადა 1998 წლის 31 იანვარს იწურება, იმ პირობით, თუ საბჭო დაუბრუნდება საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეობის მისიის მანდატის განხილვას, თუ რაიმე ცვლილება მოხდება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების მანდატში, და მიესალმება გენერალური მდივნის მოხსენებაში მოცემულ განზრახვას მიაწოდოს ინფორმაცია საბჭოს იქ მიმდინარე მოვლენების შესახებ;

17. კვლავ ადასტურებს, რომ მთლიანად უჭერს მხარს აფხაზეთში (საქართველო) ადამიანის უფლებების დაცვისა და წახალისების კონკრეტული გრაფიკის განხორციელებას;

18. მიესალმება იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაწესებულებები და ჰუმანიტარული ორგანიზაციები განაგრძობენ ძალისხმევას აფხაზეთში (საქართველო) კონფლიქტის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალებული პირების, კერძოდ, ქვეყნის შიგნით ადგილნაცვალი პირების საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, და მოუწოდებს დამატებითი შენატანები შეიტანონ ამ მიზნებისათვის. აგრეთვე კვლავ მოუწოდებს სახელმწიფოებს, შეიტანონ შენატანები მოსკოვის შეთანხმების განხორციელების და ჰუმანიტარული ასპექტების, მათ შორის განადმვის მხარდამჭერ ნებაყოფლობით ფონდში, როგორც ამას დონორები გადაწყვეტენ;

19. სთხოვს გენერალურ მდივანს განიხილოს პოლიტიკური მოლაპარაკების წარმატებით დამთავრების შემდეგ აფხაზეთის (საქართველო) ეკონომიკის აღდგენის მიზნით ტექნიკური და ფინანსური დახმარებისათვის სახსრების გამოყოფის საკითხი;

20. სთხოვს გენერალურ მდივანს კვლავაც რეგულარულად მიაწოდოს ინფორმაცია საბჭოს და სამი თვის შემდეგ ამ რეზოლუციის მიღების დღიდან წარუდგინოს მოხსენება აფხაზეთში (საქართველო) სიტუაციის, მათ შორის საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეობის მისიის ოპერაციების შესახებ, და ამ მოხსენებაში შეიტანოს რეკომენდაციები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყოფნის ხასიათის თაობაზე, და ამასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ განზრახული აქვს მოაწყოს მისი მიმდინარე სამანდატო პერიოდის დამლევს ოპერაციის გულდასმით მიმოხილვა;

21. ადგენს აქტიურად იმუშაოს ამ საკითხზე.

31 ივლისი, 1997